ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №36

31 იანვარი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შეასაბამისად

1. მიენიჭოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასასახდელების (ასიგნების) ფარგლებში ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ან/და გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას ხელი მოაწეროს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებს, მათში დამატებების და ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმებებს (ხელშეკრულებებს). ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელით დასადებ ხელშეკრულებებს, მათში დამატებებისა და ცლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმებებს (ხელშეკრულებებს), ამასთანავე დაამოწმოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ შემოწმება-მიღების შემდეგ შესასრულებელ სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაცია.
2. ბრძანებით გათვალისწინებული უფლებამოსილების მინიჭების შესახებ გაწეული საქმიანობის თაობაზე, ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს კვარტალში ერთხელ ანგარიში წარუდგინოს საკრებულოს .

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
4. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი